ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 16

ქალაქი ქუთაისი 9 დეკემბერი 2021 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
პირველი სხდომის მოწვევის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2021 წლის N14 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის მოწვევის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 დეკემბრის N14 ბრძანების მე-2 მუხლში, კერძოდ, ხსენებული მუხლით განსაზღვრულ საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის დღის წესრიგის პროექტს მე-8 ნომრად დაემატოს შემდეგი საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პანორამა ქუთაისისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიცილაპიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია